



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (10.162)

15-22 მარტი, 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქარსაფარი ზოლების აღდგენა-გაშენება იგეგმება

მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლოების მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიხეილაძე და თავმჯდომარის მოადგილე მინდია ჯოსაძე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მერის მოადგილე გელა სამუკაშვილს და ადგილობრივ ფარმაცევტებს შეხვედნენ.

შრომლობით ქარსაფარი ზოლების აღდგენა/გაშენებას გეგმავს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

ამასთანავე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა „ქარსაფარი (მინდორ-დაცვითი) ზოლის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებაზე იმსჯელა.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოში არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის ვადა



2027 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელდება.

„სააგენტოს მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესი. დღეისათვის ინვენტარიზაცია განხორციელებულია დაახლოებით 6 000 ჰა-ზე, მაგრამ დარჩენილი საინვენტარიზაციო ფართობის მოცულობიდან გამომ-

დინარე ვერ მოესწრო ამ ინვენტარიზაციის დასრულება“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა.

ცნობისთვის, აქამდე არსებული კანონმდებლობით, მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს 2025 წლის პირველ მარტამდე უნდა დაესრულებინა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია.

ვენახების რეგისტრაცია აუცილებელია!

ვენახების კადასტრის ერთიან ბაზაში აღრიცხვის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მათ რეგისტრაციას ახორციელებს. პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2021 წელს დაიწყო.

მევენახეები ვალდებული არიან, მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე დაირეგისტრირონ ყველა ტიპის ვენახი და აიღონ შესაბამისი ამონაწერი.

საკადასტრო რეგისტრაცია შესაძლებელია ღვინის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს მუ-

ნიციპალიტეტის ოპერატორთან (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას №44, მე-2 სართული).

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს ან ღვინის ეროვნული სააგენტოს ოპერატორს.

ვენახების რეგისტრაცია უფასოა! გთხოვთ, მიმართოთ წლის 1 აგვისტომდე განაცხადით კადასტრი.



სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ პროგრამები გრძელდება



კახეთის მხარეში სახელმწიფო რემონტის ადმინისტრაციის განმარტა სამუშაო შეხვედრა, სადაც სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ დირექტორის მოადგილე - ირაკლი გაბრიასაძე სახელმწიფო რემონტის მოადგილეს - ვლადიმერ კალაშნიკოვს, გივი მატრეველსა და ლევან ლილუაშვილს სააგენტოს მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი პროგრამების შესახებ მიანდოა ინფორმაცია.

შეხვედრას ესწრებოდნენ კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები და მერების მოადგილეები. ირაკლი გაბრიასაძემ ასევე ისაუბრა სა-

აგენტოს რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების მნიშვნელობაზე.

„ანარმოე საქართველოში“ საკონსულტაციო ცენტრებმა რეგიონებში ოპერირება 2023 წლის ბოლოს დაიწყეს, სადაც მენარმეებს შესაძლებლობა აქვთ, ადგილზე მიიღონ სხვადასხვა მომსახურება. აღსანიშნავია, რომ საკონსულტაციო ცენტრი კახეთის რეგიონში, ქალაქ თელავშიც ფუნქციონირებს.

უახლოეს პერიოდში დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები სამომავლო თანამშრომლობისა და რეგიონის საქროებებზე მორგებული ინიციატივების განხილვის მიზნით.

ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თვითმმართველობაში დასაქმებულ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და პროფესიული და პირადი წარმატებები უსურვა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ქალთა საერთაშორისო დღე შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების (ქ. დედოფლისწყაროს მრავალპროფილური კლინიკა) თანამშრომელ ქალბატონებსაც მიულოცა. მან საავადმყოფოს თანამშრომლებს მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადა და პროფესიული წარმატებები უსურვა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ყველა ქალბატონს გილოცავთ 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.



მასწავლებლებს მიულოცეს

ქალთა დღესასწაულებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების თანამშრომლებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ყველა სასწავლო დაწესებულებას პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ესტუმრა და პროფკავშირის წევრ მასწავლებლებს მისი ორგანიზაციის სახელით დედის და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა. როგორც პროფკავშირის ადგილობრივმა ხელმძღვანელმა მაცვალა მამდარაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, საგაზაფხულო საჩუქარი ამჯერად 400-ზე მეტ მასწავლებელს მიაღწევს.

228-ს. ვეცადე ყველა დაწესებულებაში პირადად მივსულიყავი. კიდევ ერთხელ გავეცანი მათ სამუშაო პირობებს. გარდა ამისა, თითქმის უწყვეტ რეჟიმში ვაგრძელებთ სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, ეს იქნება საჭირო ტრენინგების, თუ ეგვიპტური შეხვედრების ორგანიზება, გამოცდებისთვის მზადება, თუ გადამზადებაში ხელშეწყობა. ასევე, არდადეგების პერიოდში ვუნვეთ სხვადასხვა ექსკურსიებისა, თუ კურორტულ ზონებში დასვენების თანადაფინანსებას. ასე რომ პედაგოგთა პროფკავშირი მუდმივად მათ სამსახურში დგას,“ - აღნიშნავს მამდარაშვილი. **შპრაპი**



„ტრადიციულად, ჩვენ ყოველთვის ვაკეთებთ ასეთ სიმბოლურ საჩუქრებს პროფკავშირის წევრებისთვის, ყურადღებას და მხარდაჭერას გამოვხატავთ მათ მიმართ. გასულ კვირას ბაღებში ჩვენი საჩუქარი 190 წევრს გადაეცა, სკოლებში კი

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება საბავშვო ბაღებში

დედოფლისწყაროს სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის საბავშვო ბაღ-ბაღების მედღეობის, აღმზრდელებსა და აღსაზრდელის თანამშრომლებს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე: „პირველადი გადაუდებელი დახმარება“. ტრენინგის მიზანია: თანამშრომელთა თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება.

ტრენინგზე აგრეთვე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტები და პროცესები, როგორებიცაა: ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, გულის დახურული მასაჟი, უცხო სხეულის ამოღება სასულედან და ა.შ.

ტრენინგი ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის მისმემდგომი სამედიცინო განათლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიერ გადამზადებულმა სერტიფიცირებულმა ექიმმა, მანანა ბოსტოლანაშვილმა. ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.



ავტოსადგურების რეფორმის განხორციელება იგეგმება

2025 წელს, ავტოსადგურების რეფორმის განხორციელება იგეგმება. მისამდე, ქვეყანაში პირველი, მეორე და მესამე კლასის თანამედროვე ტიპის ავტოსადგურები მოეწყობა.

2025 წლის პირველი ივნისიდან ავტოსადგურებს სერტიფიცირების ვალდებულება უჩნდებათ. სერტიფიცირების ფასი სადგურის კატეგორიის მიხედვით 1000-ლარიდან 10 000-ლარის ფარგლებში მერყეობს. სერტიფიკატი გაიცემა 5 წლის ვადით.

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონში ცვლილება შედის, რომლის თანახმადაც, ავტოსადგურები საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად მოწოდებული უნდა იქნას. რეფორმის პირველი ეტაპის მოთხოვნები, რაც სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო ნორმებთან შესაბამისობას მოიცავს, გადამზადებულა 2025 წლის თებერვლამდე უნდა დააკმაყოფილონ. ამასთან, რეფორმის ფარგლებში ავტოსადგურები სერტიფიცირებას დაექვემდებარება, რომლის ჩატარების წესსაც საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს.

ტექნიკური მცხოვრები მძღოლები ამბობენ, რომ რეფორმა მგზავრობის საფასურს გააძვირებს. მიზეზად კი სერვისის გაუმჯობესებას ასახელებენ. მათი თქმით, სატრანსპორტო კომპანიებს ახალ მოთხოვნებზე მოსარგებლად სახელმწიფოს მხარდაჭერა დასჭირდება. მძღოლები ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეფორმის განხორციელება დაიწყოს, მგზავრობის საფასურის მომატება მოუწევთ.

საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის ინფორმაციით, დარგში არსებული პრობლემები მოსაგვარებელია.

„პირველ რიგში ეს პრობლემა იწყება ავტოსადგურებიდან, რადგან ჩვენ გვაქვს კანონიერი და უკანონო სადგურები. კანონიერის შემთხვევაშიც კი მონიტორინგი არაა საკმარისი, რაც შეეხება უკანონო ავტოსადგურებს, ეს არის თვითორგანიზებული სადგურები, საიდანაც გადის ე.წ. „ხიშინიკი“ მძღოლები. მსმენია იმის შესახებ, რომ ამ მძღოლებს შესაბამისი მართვის მოწმობაც კი არ აქვთ, იმდენად გამოსულია ეს სფერო საერთოდ კონტროლის ჩარჩოებიდან.“ **შპრაპი**

რეგიონებს თანხა გამოეყო

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელებისთვის ბიუჯეტი 52 მლნ ლარზე მეტით გაიზარდა. მთავრობის 30 იანვრის განკარგულებით, აღნიშნული სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 6.4 მილიონი ლარი, 28 თებერვლის განკარგულებით კი ბიუჯეტი 58 517 000 ლარამდე გაიზარდა.

იანვრის განკარგულებით, თანხა გამოყოფილი იყო გურჯაანის, სიღნაღის, ზუგდიდის, ხარაგაულის, ახალციხის, საგარეჯოს, ბორჯომისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებისთვის. განახლებული განკარგულებით კი სიას მთელი რიგი მუნიციპალიტეტები დაემატა, რაც დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოში 2 კვირის განმავლობაში დიდთოვლობის შედეგად შექმნილ პრობლემებთან.

ლი რიგი მუნიციპალიტეტები დაემატა, რაც დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოში 2 კვირის განმავლობაში დიდთოვლობის შედეგად შექმნილ პრობლემებთან.

- ასმეტა - 2 195 000 ლარი;
- დედოფლისწყარო - 1 700 000 ლარი;
- ყვარელი - 1 500 000 ლარი;
- საგარეჯო - 1 439 000 ლარი;
- გურჯაანი - 790 000 ლარი;
- ლაგოდეხი - 749 000 ლარი;
- სიღნაღი - 650 000 ლარი;
- თელავი - 495 000 ლარი;

რა ვირუსები ცირკულირებს დედოფლისწყაროში?

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში ჩატარდა მედპერსონალის შეხვედრა, სადაც განიხილეს 2025 წლის დაფიქსირებული ინფექციური დაავადებების სტატისტიკური მონაცემები.

2025 წელს აღრიცხულ ინფექციურ დაავადებებს შორის ყველაზე ხშირია მწვავე რესპირაციული ინფექციები და გრიპი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამედიცინო დაწესებულებიდან მიღებული ჯამური მონაცემების მიხედვით 2025 წელს მწვავე რესპირაციული ინფექციები იანვრის თვეში დაფიქსირდა - 110, თებერვალში - 223, მარტის მიმდინარე პერიოდში - 77. მონაცემები შევადარეთ გასული წლის იგივე პერიოდს (2024 წლის იანვარი-97, თებერვალი-199, მარტის პირველი ორი კვირა- 71).

2025 წელს აღინიშნება მწვავე რესპირაციული ინფექციების და გრიპის შემთხვევების მატება, განსაკუთრებით კი - თებერვლის თვეში. ახლა უკვე გამოიკვეთა კლების ტენდენცია. 2025 წლის სეზონური გრიპი კლინიკურად ხასიათდება შემდეგი სიმპტომებით: ცხელება 38° ან მეტი, ხველა, ყელის, თავის და ძვალ-სახსროვანი სისტემის ძლიერი ტკივილი, ლებინება. გართულებების გარეშე მიმდინარეობისას ერთი-ოთხი დღის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება და მე-7-10 დღიდან იწყება გამოჯანმრთელება. მკურნალობას ექიმი ნიშნავს სიმპტომების მიხედვით. დაფიქსირებულ დაავადებებს შორის ხშირად გართულების მიზეზი იყო დაგვიანებული მკურნალობა.



რესპირაციული ინფექციებისა და გრიპის გავრცელება ხდება წვეთოვანი (ხველება, დაციმინება) და კონტაქტური გზით(ვირუსით დაბინძურებული ნივთებთან ან ზედაპირებთან შეხებისას).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა გრიპის სეზონის დაწყებისთანავე გაატარა საპროფილაქტიკო ღონისძიებები. დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას და რესურსცენტრს გადაეცა დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ზოგიერთი გადამდები დაავადების გავრცელების შეკავების მიზნით გასატარებული ღონისძიებების შესახებ“ რეკომენდაციები.

ასევე, 2024 წლის ნოემბრის თვეში მუნიციპალიტეტი მოვამარაგეთ 1000 დოზა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით. ვაქცინები გავანაწილეთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა მოქალაქისთვის. ბოლო მონაცემებით ვაქცინაცია ჩაატარა 682 მოქალაქემ. აუთვისებელია კიდევ 318 დოზა.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

«ზაქეპის» ახალი წარმატება

8 მარტს, ზემო აღვანში ჩატარდა ლია ტურნირი კიკბოქსინგში. ზაქეპმა აჩვენეს საუკეთესო შედეგი. ტურნირში მონაწილე 11 სპორტსმენიდან -10 პირველ ადგილზე გავიდა, ერთი კი-მეორეზე.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: გოჩა ჩუთლაშვილი (69 კგ 2009 წ.); საბა ხიზანიშვილი (73 კგ 2008წ.); ნიკოლოზ ალადაშვილი (58კგ 2010); ნიკა ცაკაშვილი (54 კგ 2008წ.); დავით იაკობიშვილი (2011წ. 43 კგ); მარი ჯაბაშვილი (54 კგ 2011წ.); ზუკა ძნელაშვილი (43 კგ. 2013წ.); საბა ნატროშვილი (2011წ. 40 კგ); რატი დაუთაშვილი (2013წ. 36 კგ); დავით მარტყოფილიშვილი (38 კგ. 2017წ.); მეორე ადგილი დაიკავა ლევან რობიტაშვილმა (39 კგ 2013წ.). ეს საუკეთესო შედეგია.

„ზაქეპმა“ შემდეგი ტურნირისთვის მზადება გაათქვეცხვებული ენერჯით დაიწყო. გუნდს ამზადებს მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.



პერსონალური ასისტენტის სერვისი დაინერგა გზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ

პერსონალური ასისტენტის სერვისი — გზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ დედოფლისწყაროში, 2025 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედდა პერსონალური ასისტენტის სერვისის სახელმწიფო პროგრამა. როგორ მუშაობს ეს პროგრამა დედოფლისწყაროში? — ამის გასარკვევად გაზუთი „შირაქი“ ა(ა) იპ „მზის სივრცე“ ხელმძღვანელს ია ფირსოვას შევსაუბრდით.

ია პროფესიით ექიმი და ის ორ თანამშრომელთან ერთად, რომელთაც ასევე სამედიცინო განათლება აქვთ, ჩართულია „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში.

„ეს პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზეა გათვლილი. იმ ბენეფიციარს, ვისაც აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის სურვილი აქვს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, არა აქვს მნიშვნელობა, ეს რომელი ჯგუფი იქნება.“

როგორია პერსონალური ასისტენტის მუშაობის გრაფიკი?

— გრაფიკი არის ინდივიდუალური, ყველა ბენეფიციარის საჭიროების მიხედვით განსაზღვრული. პერსონალური ასისტენტი ორ კატეგორიად იყოფა - არის რეგულარული და სპეციალიზირებული. რეგულარული ასისტენტი ახორციელებს ბენეფიციართან მუშაობას თვეში, არაუმეტეს 60 საათისა, ხოლო პერსონალური სპეციალიზირებული ასისტენტი - თვეში არაუმეტეს 120 საათისა.

პერსონალური ასისტენტის სერვისი არის მომსახურება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებში

სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. პერსონალური ასისტენტის მომსახურება არ ეხება განათლების სისტემაში პირის სპეციალიზებულ მომსახურებას და მხარდაჭერას. პერსონალური დახმარების აღნიშნული მიმართულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებით. თუმცა, ასეთ მომსახურებებთან დაკავშირება და მომსახურების მიღებაში ხელშეწყობა შეიძლება იყოს პერსონალური ასისტენტის ნაწილი. ასისტირება შეიძლება იყოს ორი სახის: რეგულარული ასისტირების მომსახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც გაენევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას, სატრენინგო კურსის გავლას. ამ დროს, საკმარისია ზოგადი/ძირითადი მოსამზადებელი სატრენინგო კურსის გავლა; სპეციალიზებული ასისტირების მომსახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც გაენევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დაზამტებით მომზადებას - სატრენინგო კურსის გავლას. იმის მიხედვით, თუ რა სახის ზრუნვა ესაჭიროება ბენეფიციარს. ამის დაკონკრეტება ხდება უშუალოდ სამედიცინო შემომწმების დროს.

— კიდევ რა მოთხოვნები დაკმაყოფილება საჭირო პროგრამით დაინტერესებული პირის მიერ?

— ბენეფიციარი, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამაში ჩართვამდე, ვალდებულია გაიაროს სამედიცინო შემოწმება დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში. სპეციალური კომისია შეისწავლის მის სამედიცინო ისტორიას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიანიჭებს შესაბამის ქულას, რომელიც 5-დან 100 ქულამდე მერყე-



ობს. სამედიცინო კომისიის მიერ მინიჭებული შეფასების სისტემა განსაზღვრავს ბენეფიციარის მომსახურების სერვისის - მას რეგულარული ასისტენტი ესაჭიროება თუ სპეციალიზირებული. აქვე აღვნიშნავ, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისის კრიტერიუმების შერჩევა-შეფასების უფლება მოსილება, კახეთის რეგიონში მხოლოდ ორ კლინიკას აქვს - ერთია თელავის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი, ხოლო მეორე - დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი. კახეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ბენეფიციარებს, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის პროგრამაში ჩართვის სურვილი აქვთ, მხოლოდ ამ ორი მუნიციპალიტეტის კლინიკებში შეუძლიათ შესაბამისი სერვისის მიღება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია. ისინი მრავალ გამოწვევას აწყდებიან განათლების, ჯანდაცვის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებაში მონაწილეობის, შრომისა და დასაქმების თუ სხვა ძირითად უფლებათა ხელმისაწვდომობის მხრივ. ისტორიულად,



„მზა“ ხუთი წლისაა

დედოფლისწყაროს ბავშვთა და მოზარდთა აბილიტაცია - რეაბილიტაციისა და ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრი „მზე“ 5 წლისაა. ის 2020 წლის 1 თებერვალს დაარსდა. გამოიარა საკმაოდ რთული პერიოდი, რომელიც კოვიდპანდემიით იყო გამოწვეული. დღეს ცენტრი „მზე“ გაცილებით ძლიერია და მეტ შესაძლებლობას სთავაზობს ბენეფიციარებს. „ეს არის ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს და მას რამდენიმე ქვეპროგრამა აქვს. ამ ქვეპროგრამებდან ჩვენს

ტორული, თვით-მოვლის უნარების განვითარებას, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

აბილიტაცია - რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, 0-დან 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები იღებენ იმ თერაპიულ მომსახურებებს, რაც მათ ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრირებაში ეხმარება. მაგრამ, თუ ბენეფიციარი არის 3 წლამდე ასაკის, მას არ სჭირდება შშმ სტატუსი, ხოლო 3 წლიდან-ზემოთ, 18 წლამდე, აუცილებლად ესაჭიროება შეზღუდული შესაძლებლობის მქონის

სტატუსი. სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე და ბენეფიციართა მომსახურების სპექტრში ფართოვდება. ეს პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურებას, ესენია: ბავშვთა ნევროლოგი, ბავშვთა ფსიქოლოგი, ექიმი-რეაბილიტოლოგი, მეტყველებისა და ენის თერაპევტი, ფსიქოლოგი, ფიზიკური თერაპევტი. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ისევე, როგორც თბილისის ნამყვან კლინიკებში, ჩვენს ცენტრს ყველა მიმართულების კვალიფიციური სპეციალისტი ჰყავს და მათ დეფიციტს არ განვიცდით“ - აცხადებს გაზუთი „შირაქიან“ საუბრისას შშმ „მზე“-ს ხელმძღვანელი ია ფირსოვაშვილი.

„გაზაფხულია... დროა, მართლაც რა დიდებული“

გაზაფხული - ყველაზე მშვენიერი წელიწადის დროთაგან. ქვეყნად ძნელი საპოვნელი იქნება ადამიანი, რომელსაც ეს სეზონი არ უყვარს. ამ დროს ხომ ყველაფერი ასმაგად ლამაზია. იღვიძებს ბუნება, არე-მარე ივსება ნათელი ფერებით, მზე სასიამოვნოდ აცხუნებს, ირგვლივ საამაური სუნი ტრიალებს და ჩვენ, ადამიანებს, ახლად ამოსული აბზინებული ბალახის სუნი, მორცხვილი ის ნაზი სურნელება, აყვავებული ხეხილი „გვათრობს“ და გვატკბობს.

ვშირებულები. ჯერ მარტო რად ღირს, ახლადაყვავებული ხის ქვეშ, ტოტების ჩრდილში დაჯდომი და თბილი ქვეყნებიდან ახლადდარბუნებული მერცხლებისთვის ყურისგდება. ამ საოცარ დროს ყველა ბედნიერი ეგებება, თუმცა, არიან ადამიანები, რომლებსთვისაც ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ესენი არიან, რა თქმა უნდა, ჩვენი უძვირფასესი ქალბატონები და ყველა ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადამიანები - დედეები. ჩვენ ხომ ორ დღეს ვუძღვნი - 3 და 8 მარტს ამ ადამიანებს, თუმცა, ისინი ყოველი დღის მიძღვნას იმსახურებენ. ქალი მეტისმეტად ძლიერი, მოსიყვარულე და ამტანია. ვფიქრობ, ის საუკეთესო არსებაა რაც კი ღმერთს ამ ქვეყანაზე შეუქმნია. გაგიკვირდებათ, იმდენი სიყვარული, მზრუნველობა და ემპათია გააჩნია ამ ერთ არსებას. სულ რომ არაფერი, მათ ხომ ამხელა ძღვენი აქვთ უფლისაგან ბოძებული, რომ ახალ სი-



ცოცხლეს მოავლენენ ამ ქვეყანაზე, იყვარებენ მას სიცოცხლეზე მეტად და თავსაც კი უძღვნიან. დედა უდიდესი საყრდენია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. ისეთი ვინმეა, სიტყვა დედის სხენებაც კი სითბოს უღვრის გულში ადამიანს. ქალს შეუძლია უდიდესი გმირობა ჩაიდინოს სიყვარულისთვის, თავად ქალი, ხომ თავიდან ბოლომდე გულია. დედა ნამდვილი ამქვეყნიური ანგელოზია, ნამდვილი უფლის საჩუქარი. მის სიყვარულზე უფრო წმინდა, უანგარო არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე. დედა ყველაფერია, რაც ადამიანს სამყაროსთან აკავშირებს. ჩვენ ხომ მაშინ არ ვიცოდით, რა გვიზიდავდა ასე ძალიან დედის გამოხედვაში, ახლა ვხვდებით, რომ ეს ღმერთის სითბო ყოფილა. დედა ყველა ერთნაირად თბილი და მოსიყვარულეა, თუმცა, დღეს გვინდა განსაკუთრებულად მოვეფეროთ მრავალშვილიან დედეებს. ისინი მრავლად გვყავს და ჩამოთვლასაც არ დაგინებთ. გილოცავთ, სამ და რვა მარტს და

გისურვებთ, მუდამ ბედნიერი დედეები ყოფილიყავით. დღეს ოთხი სოფლის ზემოა - ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედისა და სამთაწყაროს. სწორედ ამ სოფლების გუნდები წარსდგებიან თქვენს წინაშე თავისი ნომრებით“ - ამ შესანიშნავი სიტყვით გახსნა 13 მარტს, სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ზონალური ღონისძიება ნამყვანმა ლიზი ბექაურმა.

ღონისძიებაში, რომელიც ქედების ზონის კოორდინატორის, მაია ყველაშვილის მიერ იყო ორგანიზებული, მონაწილეობდნენ სოფლების - ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედისა და სამთაწყაროს კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლები (ხელმძღვანელები: მაყვალა ნიკლაური, ნოდარ შაინიძე, თამუნა კობაიძე, თორნიკე პავლიაშვილი), ინდივიდუალური მექსოვლები - გიორგი ქეცქაძე, ელენე ჩოქური, ციცი ბუნტური, მარიამ ქავთარაძე და სხვ.



რატომ გაქვირდა პური?

პური გაძვირდა. მთავარი საკვები პროდუქტი უკვე 10 თეთრით მეტი ღირს. 5 მარტიდან მასობრივი წარმოების ქარხნული პური 10 თეთრით გაძვირდა - საუბარია, თეთრი პურის სამ სახეობაზე: 410-გრამიანი ბატონი, 530-გრამიანი ბატონი და ამავე გრამაჟობის დაჭრილი პური. გამყიდველები პურის გაძვირებას ფევილზე ფასის ზრდით ხსნიან. „წინა კვირას შემოვიდა გაძვირებული პროდუქცია. 1.25 ლირდა კონკრეტული პური, ახლა მისი ფასი 1.40 ლარია“. მოსახლეობა პურს მალაზიების გარდა, კერძო თონეებშიც ყიდულობს. რა მდგომარეობა ამ მხრივ დედოფლისწყაროში არსებულ თონეებში, ამის გარკვევა გაზეთმა „შირაქმა“ სცადა.



პური ჯერ არ გაძვირებულა თონეებში. ნაწილი ამბობს, რომ ამ დროისთვის ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძველ ფასს.

„ჯერ ვინარჩუნებთ ფასებს, რადგან ფევილის აღრინდელი მარაგები გვაქვს. როგორც კი ეს ამოიწურება, მოგვინებს პურზე, მინიმუმ, 10 თეთრით ფასის გაზრდა“.

ფევილზე ფასის ზრდას ადასტურებენ ის მალაზიები, რომლებიც ბურღულეულითა და ფევილით ვაჭრობენ. მათი განმარტებით, „ფევილზე ფასის მატება იანვრიდან დაიწყო, მაგრამ ბოლო ერთ თვეში საგრძობად გახდა. ტომარა რუსულ ფევილზე (100 კგ.) ფასი 65 ლარიდან 72 ლარამდე გაიზარდა; ფასის მატება ქართულ ფევილსაც შეეხო. კერძოდ, მარნეულის „კარმენი“ - ტომარა 6 ლარით გაძვირდა, ხოლო „მადლი“-5 ლარით. ბურღულეულის ფასი დიდად არ შეცვლილა, მაგრამ გაძვირდა მაკარონი“.

პურზე ფასის ზრდის მიზეზად ექსპერტები ქარხნებისთვის ფევილის გაძვირებას და სხვადასხვა გაზრდილ ხარჯს ასახელებენ.

28 თებერვალს გამოცემული დადგენილების მიხედვით ფევილზე საიმპორტო გადასახადი ერთი თვით, 2025 წლის პირველ აპრილამდე გახანგრძლივდა. ამასთან, გაიზარდა იმპორტის საფასური. 200 კგ-ზე მეტი ოდენობის ხორბლის ფევილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმებისას, იმპორტიორს მოუწევს ყოველ კილოგრამზე 0.30 ლარის, ანუ 1 ტონაზე 300 ლარის გადახდა. აქამდე საფასური 1 კგ-ზე 0.25 ლარი იყო, ანუ ტონაზე 250 ლარი.

დაკორექტირდა გადასახადი ქერსა და ქაბობზეც და იგი გაორმაგდა. 10 თეთრის ნაცვლად, კილოგრამზე 20 თეთრი გახდა და 1 ტონაზე 100 ლარის ნაცვლად, 200 ლარი იქნება.

კომპანია „აგროექსპორტის“ დამფუძნებელმა ლევან ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ნისქვილკომბინატის გადასახედიდან საიმპორტო გადასახადის არსებობა გადამწყვეტია, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა წარმოებამ იარსებოს. თუმცა, გადაწყვეტილების მიღება არსებული ფაქტორების გათვალისწინებით ხდება და იმ შემთხვევაში, თუ მოცემულობა შეიცვლება, გადაწყვეტილებაც გადაიხედება.

„ეს პოზიტიური ცვლილებაა, იმის გათვალისწინებით, რომ 15 თებერვლიდან რუსეთის ფედერაციაში ამოქმედდა კვოტები ხორბლის გატანასთან დაკავშირებით, რამაც ფასის ზრდა გამოიწვია. შესაბამისად, ამ დადგენილების შინაარს-“

სიც და მიზანიც არის ის, რომ ამის პროპორციულად მოხდეს შიდა წარმოების ხელშეწყობა. რატომ ერთი თვით? ეს ტექნიკური საკითხია, გვაქვს მოლოდინი და არსებობს შეთანხმება რომ 1 თვის შემდეგ ეს კიდევ გაგრძელდება და საკმაოდ გრძელვადიანი უნდა იყოს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარგიც თანახმა არის და ზოგადად შეთანხმებაც არის იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში თუ სიტუაცია უკეთესობისკენ დარეგულირდება, დარგს პრობლემა არ ექნება, რომ გაუქმდეს ეს დადგენილება“, - განაცხადა „აგროექსპორტის“ დამფუძნებელმა „ბიზნეს მედიასთან“.

უნდა ითქვას ის, რომ სტაბილურობის მხრივ ფევილის და ხორბლის ბაზარზე უკვე გარკვეული ხარვეზებია. ეს პურის ღირებულებას ეხება. ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში მუდმივად მიდიოდა საუბარი, რომ მთავარია, ფევილზე საიმპორტო გადასახადი შენარჩუნებულიყო და პურის ფასის სტაბილურობას ნისქვილკომბინატები უზრუნველყოფდნენ ქარხნებისთვის ფევილის ზღვრულ ფასად მიწოდების ხარჯზე (1 ტომარა მაქსიმუმ 52 ლარად) როგორც ჩანს, ეს პრობლემა დაირღვა, ამიტომ პურიც ძვირდება.

როგორც „საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის“ თავმჯდომარემ მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ფასის ცვლილების მიზეზი, შესაძლოა, იყოს მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის გაძვირება და შესაფუთ მასალებზე ფასის ცვლილება, რის გამოც კონკრეტულმა პურის მწარმოებლებმა ფასები დააკორექტირეს. მან პარალელურად, პურის მწარმოებლების მხრიდან, პურის 10 თეთრის გაიაფების განაცხადი გაიხსენა და აღნიშნა, რომ დღეს პირველადი მოხმარების პროდუქტის ღირებულება ძველ ნიშნულს უნდა დაუბრუნდეს.

„მოდით პრაგმატულად შევხედოთ, 1 ტონა ხორბლის ღირებულება თუ 700-800 ლარი იყო, ახლა 1000 ლარს ასცდა. ანუ მომატებულია ფასი - ფაქტია. მე რომ ფევილის ფასზე ვილაპარაკო, ძალიან ბევრი რამ არის შეცვლილი.“

დღევანდელი სიტუაციიდან და წარმოების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბევრი ნიუანსია. მთელი რიგი მომენტებია, აღარ ვსაუბრობ ჯარიმებზე, საფუარზე, მარილზე, დამხმარე მასალებზე, შესაფუთ მასალებზე...

პურის ფასი ზოგმა შეიძლება 5 თეთრით, ზოგმა - 10 თეთრით შეცვალოს, ეს წარმოების საჭიროებიდან გამომდინარე იქნება. აქ საგანგაშო არაფერია, მთავარია პური გამოცხვეს და მომხმარებელს მივაწოდოთ ხარისხიანი პროდუქცია. სტანდარტი არ ითვალისწინებს, მაგრამ დღეს ყველა პური შეფუთული გამოდის, რაც რამდენიმე თეთრით აისახება პურის ფასში“, - განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

საქართველოში ფევილის გაძვირება პურის ფასზე უკვე აისახა. ამის საპირწონედ, ყაზახეთი, საქართველოში მარცვლოვანი კულტურის სუბსიდირებას იწყებს. როგორც მარცვლოვანი მწარმოებლები აღნიშნავენ, ეს გარკვეულწილად, რისკებთანაა დაკავშირებული.

ყაზახური მხარის მიერ მარცვლოვანი კულტურის სუბსიდირებამ საქართველოში, შესაძლოა, იმპორტი გაზარდოს. როგორც ნიკოლოზ ბენიაიძე აღნიშნავს, ეფექტი ფერმერებზე ჯერჯერობით არ ასახულა.

მისი თქმით, საჭიროა პროცესების კონტროლი, რათა გაზრდილი იმპორტის შემთხვევაში ფასები არ დაეცეს. აქვე აღსანიშნავია, რომ გასული ორი წლის განმავლობაში ხორბალზე დაბალი ფასების (კგ. 40 თეთრის ფარგლებში) გამოფერმერები გამოწვევების წინაშე იდგნენ, მათი ნაწილი ვერ იხდიდა სესხებს, ნაწილმა კი დროებით უარი თქვა ხორბლის წარმოებაზე და სხვა კულტურის მოყვანას მიჰყო ხელს.

„ჯერჯერობით არ ასახულა უარყოფითად ფერმერების საქმიანობასა და მოსავლის ფასზე. ხორბლის ფასები ნამოწეულია და ახლა უკვე რეალური ფასია, თუმცა, ალბათ პერიოდში ფერმერებმა იაფად გაყიდეს და ცოტა მარაგი აქვთ შემორჩენილი. თვალყურის მიდევნება სჭირდება ამას [ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტს], რომ არ გამოიწვიოს დიდი ზეგავლენა ადგილობრივ ბაზარზე. ახლა საშუალოდ 75-80 თეთრამდეა ხორბლის ღირებულება“, - განაცხადა ნიკოლოზ ბენიაიძემ.

ფერმერების შიშს არ ეთანხმება და ყაზახური ხორბლის შემოტანის დადებით ტენდენციებზე საუბრობს ლევან სილაგავა: „ფევილის ფასთან მიმართებით ამას სტაბილურობის ეფექტი ექნება, აქ არ იქნება ეფექტი, რომელიც შემცირებისკენ წავა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ბა-“

ზარზე ხორბალი ძვირდება, გაძვირებული ხორბლის ეფექტიდან გამომდინარე, ყაზახური მხრიდან ეს გაძვირებულზე ოდნავ იაფი იქნება, რაც ჩვენი ბაზრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რუსეთში ხორბალი გაძვირდა. ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ რუსეთში ხორბლის საექსპორტო მაჩვენებელი წელს გამოცხადებულია დაახლოებით 10 მილიონი ტონა, შარშან 25 მილიონი ტონა იყო, ანუ ორჯერაა შემცირებული. 15 თებერვალს რუსეთში კვოტირება შემოვიდა. მეორე მიზეზია ის, რომ რუსულთან მიმართებით დოლარი გაძვირდა.

რუსულ ბაზარზე ფასი ზემოთ იწევს, ანუ, თუ იყო 220\$ დღეს 240\$-ია. ყაზახური ხორბალი არ შემოვა 220\$-ის ფარგლებში, ანუ შემოვა 220-ზე მეტი. ფასების თამაშს მათ შორის ყაზახეთის ექსპორტიორი უყურებს და შესაბამისად, ის, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სხვაობით, მინუსით საქართველოში ხორბალს არ შემოიტანს. ანუ, რეალურად, ბაზარი ერთ ტონაზე დაახლოებით 5-10\$-ის სხვაობას არეგულირებს, შესაბამისად ამას შეიძლება, უფრო დამაბალანსებელი ეფექტი, ანუ გაძვირების სანაწილდემო ეფექტი ჰქონდეს, ვიდრე უკუსვლის. თუ ფასი, ვთქვათ 240 \$-ია, ყაზახეთი 230-ად გაყიდა და არა 220-ად, რომელიც გუშინ იყო. ანუ, ამას ექნება ოდნავ დაბალი ფასი, ვიდრე რუსულ შემოტანილ ხორბალზეა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ძალიან დადებითი ტენდენციაა.

ვიმეორებ: რუსულ ბაზარზე გაძვირების ტენდენციაა და აქედან გამომდინარე, კარგია, რომ ალტერნატივა გაჩნდა. კარგია, რომ ეს ალტერნატივა ყაზახეთიდანაა, იმიტომ, რომ ყაზახეთის ყოველთვის ვუყურებდით როგორც ერთ-ერთ ჩანაცვლებად ბაზარს.

აქვე მინდა, ვთქვა, რომ ეს მოკლევადიანი ეფექტი იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც ყაზახეთიდან ამ 2 მილიონი ტონის გატანა ამოიწურება, ფაქტობრივად, სუბსიდირება ამოიწურება, თუმცა, ეფექტი უკვე დადებითია. შემოიძლია, ვილაპარაკო იმაზე, თუ როდის შეიძლება, იყოს ეს მუდმივი და სისტემური დადებითი ეფექტი. ბოლო ხანს გაგრძელდა ინფორმაცია, რომ ყაზახეთი ისევ დაუბრუნდა იმ პროექტს, რომელიც საქართველოში პორტების მიდამოებში ტერმინალის მშენებლობას გულისხმობს, ეს ყაზახურ ხორბალს საშუალებას მისცემს, მსოფლიო ბაზრებზე, მათ შორის საქართველოს პორტებიდან გავიდეს. ეს 2008-შიც, 2012-შიც განსახილველი თემა იყო, მაშინ ვერ განხორციელდა, თუ ეს ახლა განხორციელდება, მაშინ შეიძლება, საქართველოს ბაზართან მიმართებით, გარკვეულწილად, მუდმივ ეფექტად ვიხილოთ.

ახლა რაც შეეხება იმას, იაფი ხორბლის შემოსვლა, ქართველ ფერმერებს ხომ არ დააზარალებს: რეალურად, ქართველი ფერმერების ფასი ყოველთვის სწორდება იმაზე, რაც არის რეგიონული და მსოფლიო ბაზარზე, ანუ რა ფასიც იქნება ბაზარზე, ნისქვილკომბინატები ქართულ ხორბალს იმ ფასად ჩაიბარებენ“- განაცხადა ლევან სილაგავამ.

მომამზადა

✍ ინგა შიოლაშვილი

„გაზაფხულია...დროა, მართლაც რა დიდებული“

/დასაწყისი გვ.3/

ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ზონალური ანსამბლები (ხელმძღვანელები - ანა ლოლაშვილი, ნიკა შანშიაშვილი). თითოეული ნომერი გამოირჩეოდა დახვეწილი სამემსრულებლო მანერით, სწორედ ამიტომ, საზოგადოებაც ხშირად აჯილდოვებდა მათ ოვაციებით.

განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა ბიპი ლაზვიანიშვილისა და



იზო ნამგალაშვილის მიერ დადგმულმა მხატვრულმა ნომრებმა, ე.წ „სკეტჩებმა“. მათ უშუალოდ და ცოცხალი იუმორით მოიგეს მაყურებლის გული, რაზეც ნომრის მიმდინარეობისას დარბაზის ემოციები ნამდვილად მანიშნებდა.

ასევე დიდი მხარდაჭერა და შექება მოიპოვეს მაყურებლის მხრიდან ქვემო ქედელმა მოცეკვავეებმა, რომლებმაც ტექნიკური ხარვეზის მიუხედავად საკმაოდ კარგად გაართობეს თავი ნომრის შესრულებას და წარმატებით დაასრულეს საკუთარი გამოსვლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ა.ა.ი.პ.-ების წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა.

დოდო სუწაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი: „ძალიან ლამაზი დღე იყო, რომელიც დღეს ჩვენმა ახალგაზრდებმა, ჩვენმა ბავშვებმა თუ ზრდასრულებმა შემოგვთავაზეს. ძალიან

ვიხალისეთ, ვისიამოვნეთ. დიდი მადლობა დღევანდელი საღამოს ორგანიზატორებს ამისთვის. განვილი დღესასწაულებს გილოცავთ, ქალბატონებო! მუდამ ასეთი გახარებულები, ხალისიანები, ბედნიერები მენახეთ. კიდევ მრავალი გაზაფხული მომელოცოს თქვენთვის. მშვიდობიან და უღრუბლო საქართველოში გეცხოვროთ“.

მაია ყვამაშვილი, ზემო ქედის კულტურის სახლის ხელმძღვანელი: „ყველას დიდი სიყვარულით მოგილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. მინდა დღეები დაგილოცოთ, ქალბატონები დაგილოცოთ. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ მობრძანებულ სტუმარს, დამსწრე საზოგადოებას. დაე, ყველას მშვიდობიან ქვეყანაში გვეცხოვროს, უფალი გვფარავდეთ ყველას“.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის ღონისძიების ორგანიზატორებს და თითოეულ მონაწილეს გაზაფხულით რიგი-



თი დღის გალამაზებისთვის. წარმატებებს და წინსვლას უსურვებს მათ პირად საქმიანობაში.

თქვენ კი, მკითხველო, თუ კარგად ჩაუკვირდებით, ნათლად დაინახავთ: მხოლოდ გაზაფხულის დღეებს შეუძლიათ მთელი წელი ბედნიერებითა და სიყვარულით აღსავსე გამოყოფით. გაზაფხულს მხოლოდ დადებითი ემოციებით, სიყვარულითა და სიხარულით სავსე გულით უნდა შეხვდეთ. პრობლემები გაატანეთ ცივ და მკაცრ ზამთარს. ნუ წაართმევთ საკუთარ თავს ბედნიერების უფლებას. თქვენ მას იმსახურებთ!

✍ ჟუჟუნა ყანაშვილი

მარტას სასამართლო

დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლის მერვე კლასმა ინიციატიული სასამართლო სხდომა გამართა. კლასის პედაგოგი მარიამ ჩალახუშვილი გაზეთ „შირაქს“ ღონისძიების დეტალებზე ესაუბრა.

„მერვე კლასში თემატურად შევისწავლეთ გიორგი ლეონიძის შთამბეჭდავი ნაწარმოები – „მარტა“. მასალის გავლის შემდგომ, ტრადიციულად, გადავწყვიტეთ სასამართლო პროცესის იმიტირება. აღნიშნული აქტივობის სურვილი ყველა მოსწავლემ გამოთქვა. შევეცადეთ, მარტას საქმე განგვეხილა, როგორც უდანაშაულო ადამიანისა, მაგრამ გაგვესამართლებინა ბალბალუკა და ციციკორე. გაკვეთილის მიზანი იყო, რომ არ შეიძლება ხელაღებით ადამიანს დავნამოთ ცილი, გავასამართლოთ და მოვესპოთ უფლისგან ნაბოძები სიცოცხლე. ასევე ამ გაკვეთილის მიზანი იყო ტოლერანტობის ჩამოყალიბება, ემპათიის უნარის გაღვივება და ურთიერთპატივისცემა. ნაწარმოების შესწავლისას, მოსწავლეებს დაეუფლათ უსამართლობის გრძნობა, რადგან უდანაშაულო, ულამაზესი გოგო სასიკვდილოდ გაიმეტა ბრბომ. გადავწყვიტეთ, შეგვეცვალა ნაწარმოების დასასრული, მარტა ცოცხალი დაგვეტოვებინა და გაგვესამართლებინა ჭორიკანა, „ენაკეცა“ ბალბალუკა და სოფლის თავკაცი - ციციკორე.

სასამართლოზე არჩეული გვეყავდა: საქმის მოსამართლე, ადვოკატები, პროკურორი, ნაფიცი მსაჯულეები და მოწმეები, რომელთა ფუნქციებშიც სასამართლო სხდომის გამართვამდე დეტალურად გაერკვნენ მოსწავლეები. აქვე აღვნიშნავ, რომ ყოველი მათგანი ძალიან დიდი ინტერესით იყო ჩართული გაკვეთილის მომზადებაში. მათ წინასწარ მოისმინეს იმიტირებული სასამართლო პროცესები, რათა მაქსიმალურად მიეახლოებინათ რეალურს. მოსწავლეებს უნდოდათ სამართლიანობას ეზიქნათ. სწორედ ამიტომ, როლები ისე ჰქონდათ გადაწყვეტილებები და კითხვები შერჩეული, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს, ამომწურავად ესაუბრა.

სხდომაზე თავდაპირველად მოისმინეს მარტას პოზიცია, თუ რა უნდოდა გედიას მასთან და რატომ გადაკოცნა. შემდეგ დაინტერესდნენ ბალბალუკას განწყობებით, რატომ მიიჩნია, რომ გედიასა და მარტას შეხვედრა „საცოლქმრო შეყრა“ იყო, რაზეც ძალიან ბანალური პასუხი ჰქონდა მას. მომწივარმა მხარემ ვერ შეძლო მარტას გამამტყუნებელი არგუმენტების მოყვანა.

მარტას დაცვის მხარეს ჰქონდა არაერთი მყარი არგუმენტი, რომ გედია, მარტასთან მხოლოდ სამძიმრის სათქმელად მივიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მარტას თუ შეთეს ლალატი ექნებოდა განზრახული, კარს დახურავდა და არავის მისცემდა თვალთვალის



შესაძლებლობას. მარტას დაცვის მხარემ, ერთ-ერთ ვერსიად წარმოადგინა ის, რომ ის იყო უმშვენიერესი ქალი და სოფლის მოსახლეობას, შურდა მისი სილამაზისა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისი დასჯა. ბალბალუკამ საკუთარი საქციელის გამართლება იმით სცადა, რომ თუ მარტა არ დაისჯებოდა ქმრის ლალატისთვის, ბევრი მიბაძავდა მას და ერი გადაგვარდებოდა. სასამართლო პროცესზე ასევე წამოიჭრა ციციკორეს, როგორც სოფლის თავკაცის საკითხი, მან თავი დამნაშავედ ცნო. საბოლოო ჯამში, ძალიან განსხვავებული გაკვეთილი გამოვიდა, ინფორმაციული და საინტერესო! მაღლობა მინდა ვუთხრა მოსწავლეებს აქტიურობისთვის! – აღნიშნავს პედაგოგი მარიამ ჩალახუშვილი. შეგახსენებთ, იმიტირებული სასამართლო სხდომა ამავე პედაგოგის ინიციატივით ეპარქიის სკოლამ 2023 წელსაც გამართა. მათი განმარტებით, მოსწავლეები ამგვარი აქტივობების მიმართ ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ.

ილია მარტყოფლიშვილი

დისტანციის ზონები ადამიანებს შორის ურთიერთობისას

არსებობს ადამიანები, რომლებიც სხუთს ან თუ იმ მოკარავთ მუდმივად იჭრებიან სხვა ადამიანთა არსებობის სივრცეში. ის შაილაბა იყოს ე.წ. „გაფართოების“ და ახით სხვა ადამიანის ცხოვრებასა და სწავლას, მხარზე ხელის დაკავება და ა.შ. ადამიანებს, ისევე როგორც ინსტიტუტებს ალტერნატიული ცხოვრება, მხარზე ხელის დაკავება და ა.შ. ადამიანებს, ისევე როგორც ინსტიტუტებს ალტერნატიული ცხოვრება, მხარზე ხელის დაკავება და ა.შ.

ადამიანთა შეჭიდულობა ტრანსპორტში, ლიფტში, კინოთეატრებში და ა.შ. ხშირად იწვევს ადამიანთა ძალაუფლებურ შეჭრას სხვათა ინტიმური ზონის საზღვრებში, რაც თავის მხრივ, ძლიერ უარყოფითად განიცდება პიროვნების მიერ. საინტერესოა ამ პროცესზე ადამიანთა რეაგირების დაკვირვება:

1. კომუნიკაცია შეზღუდულია, ხშირად ნაცნობებთანაც კი.
2. არარეკომენდებულია პირდაპირი და დაჟინებული მხერა.
3. ემოციების გამოვლენა საგრძნობლად შეზღუდულია.
4. წიგნის ან გაზეთის კითხვისას ძლიერია ჩართულობა ამ პროცესში.
5. რაც უფრო მეტია სიმჭიდროვე, მით უფრო თავშეკავებულია მოძრაობები.
6. ლიფტში სასურველია სართულების მანიშნების ყურება.

ხშირად შეგვიძინებია ალბათ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეჭიდულობაში მგზავრობისას ადამიანებს საწყალი, უბედური და დათრგუნული სახეები აქვთ. მიზეზი კი სწორედ ისაა, რომ ამ დროს ადამიანები კეთილსინდისიერად ასრულებენ სხვათა ინტიმურ ზონაში თავისდაუნებურად შეჭრის საპასუხო ნესებს.

შეჭიდული თანაარსებობის უარყოფითი შედეგები ჯერ კიდევ ცხოველთა დონეზე აღმოაჩინეს მეცნიერებმა. დაკვირვება ტარდებოდა კუნძულ ჯეიმსზე გადასახლებულ ირმებზე. ცხოველებმა მალე დაიწყეს კვლევა მიუხედავად იმისა, რომ საკვებიც საკმარისი იყო და მტაცებლისა და ეპიდემიის საფრთხეც არ ემუქრებოდათ. გამოკვლევებმა დაამტკიცა,

რომ ირმები ილუპებოდნენ თირკმელზედა კირკვლის ზეექტორი მოქმედებით, რაც ცხოველთა სტრესული მდგომარეობით იყო გამოწვეული. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ირემთა პოპულაციის ზრდისა და ცხოველების მიერ საკუთარი არსებობის სივრცის შემცირების შედეგი იყო.

სწორედ პიროვნული ზონის დაზღვევაზე დაფუძნებულ მეთოდებს იყენებენ პოლიციის თანამშრომლები იმისათვის, რომ შეარყიონ დამნაშავეთა წინააღმდეგობები. ამ მიზნით ისინი სვამენ ექვმიტანის უსახელო სკამზე ოთახის ცენტრში და დაკითხვის პროცესში მუდმივად იჭრებიან მის პიროვნულ ან ინტიმურ ზონებში და ყოვნაღებთან, სანამ არ მიიღებენ პასუხს. ამ მეთოდების გამოყენებით დამნაშავეს წინააღმდეგობა სწრაფად სუსტდება.

ალსანიშნავია, რომ პიროვნული ზონის საზღვრები განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ სიტუაციაში. საინტერესოა დაკვირვება ახარკაქსა და იაკონალის საზღვრებზე, სადაც უკანასკნელი სულ უფრო და უფრო უსახელოვანა პირველს, ის კი მუდმივად უკან იხევს, ამით თითოეული მათგანი ცდილობს შეინარცუნოს მისთვის ჩვეული სივრცეობრივი განიქილი, იაკონალი, რომლის ინტიმური განიქილი 25 სმ-ია, წინ დგამს ნაბიჯს, რათა შეამციროს განიქილი მოსაზრებითან, ამით კი იჭრება ახარკაქსის ინტიმურ ზონაში და აიძულავს, რომ ამ უკანასკნელმა, ნაბიჯი უკან გადადგას, რათა გააფართოვოს მისი ზონალური სივრცე.

ჯანსიკ გიგოლაშვილი ფსიქოლოგი

სარქაქსიო ფოსტა

გილოცავთ, ჩემო „შირაქელეებო“

დედის დღეს და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, ძვირფასო და საყვარელო ჩემო ყოფილო სტამბის და რედაქციის თანამშრომლებო. ჩემთვის ტკბილი მოსაგონარია ეს დღეები, რადგან იქ ვმუშაობდი და ყველა თანამშრომელს, როგორც ოჯახის წევრს, ისე გვიყვარდა ერთმანეთი. ჭირშიც და ლხინშიც ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენი ოჯახის ავსა და კარგს და ყველა განვიცდიდით ერთმანეთის სიხარულსა და მწუხარებას. გვერდში მედგით ჩემი ობოლი შვილების გაზრდაში, არ მაკლდა თქვენგან ნუგეში და პატივისცემა, ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით ვინც მახსენდება ცოცხალიც და გარდაცვლილიც: რენი ჭრელაშვილს, ნაირა გორაშვილს, ნათელა ბოსტაშვილს, მზია ქენქაძეს, თამარა ბალაშვილს... ასევე მოვიხსენიებ ან გარდაცვლილებს: შურა ბენაშვილს, დომენტი გონაშვილს, ქეთინო გოგოლაურს, გოდერძი ტოკლიკიშვილის, უშანგი ნყარუაშვილს, შოთა ბიკაშვილს, კლარა ოზაშვილს, თინა ფაველინიშვილს, მაყვალა ალუღიშვილს, ნათელაში ამყოფოთ ღმერთმა...

ჩემო საყვარელო ყოფილო და ახლანდელი რედაქციის თანამშრომლებო, დედებო და შვილებო, გილოცავთ!.. მრავალი ლამაზი გაზაფხულის დღესასწაული გეზეიმოთ თქვენს საყვარელ ოჯახებთან ერთად.

გნერთ 1977 წლიდან სტამბაში მომუშავე გაზეთ „ახალი შირაქსი“ დამკვადრონებელი, ამჟამად 84 წლის ნანული იაკობიშვილი-ლვინიაშვილი და მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ფსიქოლოგთა დაკვირვებით, ადამიანთა შორის ურთიერთობებში არსებობს შემდეგი ტიპის ზონები:

1. ინტიმური ზონა (15 და 40 სმ) ყველაზე მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის და ამიტომაცაა სწორედ რომ ადამიანი მას იცავს და უფროხილდება როგორც თავის საკუთრებას. ამ სივრცეში შეღწევის ნებართვა მხოლოდ მჭიდრო ემოციურ კონტაქტში მყოფ ადამიანებს აქვთ: შვილებს, მშობლებს, მეუღლეს, ნათესავებს, ახლობლებს და ა.შ. ამ ზონაში მდებარეობს ასევე ქვეზონა 15სმ რადიუსით, რომელშიც შეიქრება მხოლოდ ფიზიკური კონტაქტით არის შესაძლებელი. მას პირობითად ზეინტიმურ ზონას უწოდებენ.
2. პიროვნულ ზონას (46სმ-დან 1,2 მ-მდე) ადამიანები ამათუ იმ სალაშობებზე, ოფიციალურ შეხვედრებზე, წვეულებებზე და ა.შ. იცავენ.
3. სოციალური ზონა (3,6 მ-დან ზემოთ) დატულია არდიტორიის წინაშე გამოსვლის ან ხალხისადმი ამა თუ იმ მიმართვის შემთხვევაში.

ერთი კადრი წარსულიდან

1984 წ. ნითელწყაროს შინმოუსვლელთა ახალი მემორიალი და ცენტრალური პარკი. ფოტო დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ზურა ღორაშვილი და ლიკა აფრასიძე, ზალიკო ღორაშვილი და მანია ცქიტიშვილი სამძიმარს უცხადებენ ემზარ და რამაზ ბეჟაშვილებს დედის, ანუკი და ზურა ბეჟაშვილებს ბებების

შენია (ევაგენია) ბაჟაშვილი-ღორაშვილის გარდაცვალების გამო.

მმა ვალოდია (ვალიკო) ღორაშვილი, ძმიშვილები: ზურა და ზალიკო ოჯახებით, თორნიკე ღორაშვილი, გოჩა და თამარი, მერი და ლევან ნატროშვილები, ქეთინო მარტყოფლიშვილი-მაძლარაშვილი, მარიამ და თათული მაძლარაშვილები, ელზა ქავთარაძე, ნათელა ბუჩუკური, სოსო და დათო ბეჟაშვილები ღრმა მწუხარებით იუნყებიან და სამძიმარს უცხადებენ ემზარ და რამაზ ბეჟაშვილებს დედის, ანუკი და ზურა ბეჟაშვილებს ბებების

შენია (ევაგენია) ბაჟაშვილი-ღორაშვილის გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

ჯემალ კვანჭილაშვილი

83 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის დარგის გამორჩეული მოღვაწე, სწავლული აგრონომი, დიდი პროფესიონალი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი უფროსი ჯემალ კვანჭილაშვილი. იგი უსაზღვრო კაცთმოყვარეობით, ტრადიციისადმი ერთგულებით, თანამშრომლებისადმი განსაკუთრებული ურთიერთობებით, ოჯახისშვილობით საუკეთესო პიროვნება გახლდათ. მან უერთგულეს მეუღლესთან ქ-ნ იგულისთან ერთად ქვეყანას ალუზარდა ორი შესანიშნავი ვაჟკაცი ილია და ლევანი, რომელთაც ქართული ტრადიციული ოჯახები შექმნეს. სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს და ახლობლებს, იგი მუდამ ჩვენს გულში იქნება...

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ზურაბ თეთვაძე, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ავთანდილ ალიკოშვილი, კაკო სამუკაშვილი, მერაბ მაძლარაშვილი, ავთო ჯანაშვილი, კახა ხოსროშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა მამულაშვილი, მაყვალა ჯორჯოშვილი თანაგრძობას უცხადებენ შვილებს - ილია და ლევან კვანჭილაშვილებს მამის

ჯემალ კვანჭილაშვილის

გარდაცვალების გამო.

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები სამძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს თამარ ქეთელაურს მამის

როლანდ ქითელაურის

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდა მხატვრების ფერადი სამყარო



7 მარტს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახალგაზრდა მხატვრების ანანო კვინინაშვილის, ზურაბ პაპაშვილის, გიორგი ხაჩიაშვილის და ნიკოლოზ მჭედლიშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელიც ეძღვნება გაზაფხულის მოსვლას და ქალთა დღესასწაულებს. ექსპოზიციის ნახვა აპრილის ბოლომდე შეეძლება.

როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა **ლალი გურასაშვილმა** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ასეთი ფორმატით გამოფენა, რომელსაც რამდენიმე ახალგაზრდის ნამუშევართა ერთობლივი ღონისძიების ხასიათი ჰქონდა და ასევე სხვა ახალგაზრდა ჯგუფის პატრონაჟით მოეწყო, პირველად ჩატარდა მუზეუმში და დიდი სიხარულით უმასპინძლებენ მომავალშიც ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას. ადგილზე დათვალიერებისას აღმოვაჩინეთ, რომ ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედება გამოირჩევა ექსპერიმენტული მიდგომებით, თამამი ფერებითა და ორიგინალური ხედვით. ისინი იყენებენ სხვადასხვა ტექნიკას ტრადიციული საღებავებიდან - ციფრულ ხელოვნებამდე. ქმნიან სოციალურ თემებზე, პირად გამოცდილებაზე ან ფანტასტიკურ სამყაროზე დაფუძნებულ ნამუშევრებს. როგორც ჩვენი საუბრისას გავარკვეით, თანამედროვე ტექნოლოგიების სელმისანვლოდობა მათ საშუალებას აძლევს, გაავრცელონ თავიანთი ნამუშევრები სოციალურ ქსელებსა თუ ონლაინ გალერეებში, რაც ახალ შესაძლებლობებს უქმნის მათ ცნობადობის ამაღლებაში. მათი ხელოვნება ხშირად ასახავს თანამედროვეობის გამოწვევებს, ინდივიდუალურ თვითგამოხატვას და კულტურული გავლენების სინთეზს, რაც უნიკალურ და მრავალფეროვან ნამუშევრებს ქმნის. გამოფენის ორგანიზატორი გახლდათ ჩვენი მუნიციპალიტეტის აქტიური ახალგაზრდა - გოგა ჯავახიშვილი. მასთან და თითოეულ შემოქმედთან გასაუბრებისას შევიტყობთ ამ ახალი და მეტად საინტერესო ინიციატივის თაობაზე:



ნიკოლოზ მჭედლიშვილი

კმარისი ნამუშევრები პერსონალური გამოფენისთვის. ამიტომ დავინყე ალტერნატივების ძებნა და საბოლოოდ მივაგენი გამოსავალს. აქედან გაჩნდა ერთობლივი გამოფენის იდეა. დავუკავშირდი ნიკოლოზ მჭედლიშვილს, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ და ვმეგობრობ. ამ ღონისძიების დაგეგმვის პროცესში, აღმოვაჩინე რომ ჩვენი რაიონისთვის და პირადად ჩემთვის კარგად ცნობილ - გიორგი ხაჩიაშვილს დაუწყია თემაზე მუშაობა, რომელიც შესანიშნავად გამოსდის, რაც ნათლად გამოჩნდა მის მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებში. ეს გამოფენა მიეძღვნა ქალბატონებს, (მოგესხენებათ მარტი ქალთა თვე) გაზაფხულს და სიყვარულს. ამიტომ წარმოდგენილი იქნებოდა ჩემთვის ამ გამოფენის ჩატარება ანანო კვინინაშვილის ნამუშევრების



ანანო კვინინაშვილი

გარეშე, რომელმაც ერთხმად ყველა მხარველის აღფრთოვანება გამოიწვია. ჩემი აზრით, ამით საფუძველი ჩაეყარა ამ უნიჭიერესი მხატვრების და შემოქმედი ახალგაზრდების მომავალ წარმატებას, რომელიც ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებაც არის. საამაყოა, როცა ერთ პატარა რაიონს ამდენი ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანი ყავს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო სპარტაკ შანშაშვილს, იგი ჩვენი რაიონის ახალგაზრდა ფოტოგრაფია, რომელიც აქტიურად მუშაობს, როგორც პირადი სურვილით, ასევე შეკვეთებში.

ნიკოლოზ მჭედლიშვილი: „დავიბადე ქ თბილისში 1999 წლის 23 აპრილს, ვცხოვრობ დედოფლისწყაროში. ხატვა დავინყე ბავშვობიდან, ჩემი პედაგოგი გახლდათ აკაკი მერაბიშვილი. ამჟამად ვსწავლობ კოლეჯში, სამომავლოდ ალბათ გავაგრძელებ ისევე შემოქმედებით კარიერას“.



ზურაბ პაპაშვილი

სპარტაკმა რომ გაიგო ჩვენი მუნიციპალიტეტის მხატვრების გამოფენას ასახავდა ფოტოებზე, შეკვეთის პონორარზე უარი თქვა და თავისი გულწრფელი და კეთილი სურვილით დაეხმარა ჩვენს ახალგაზრდა ხელოვანებს სოციალურ თუ ბექდურ მედიაში გამოჩენაში“.

ანანო კვინინაშვილი: „დავიბადე 1997 წლის 26 აგვისტოს. დავამთავრე დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა. 2016 წელს ჩავაბარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკოლოგიის ფაკულტეტზე. ხატვის ნიჭი გენეტიკურად მხვდა წილად. პანდემიის პერიოდში აღმოვაჩინე, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა მქონდა გამოემედიანა ეს ნიჭი და დავინყე ტილოზე ხატვა. გარდა ამისა, დაკავებული ვარ ხატ-წერით. ჩემი მიზანია, შევქმნა ისეთი ნამუშევრები, საიდანაც ადამიანი ნუ გეშა და სიმშვილეს იგრძნობს“.

ზურაბ პაპაშვილი: „დავიბადე 1987წ. 8 სექტემბერს დედოფლისწყაროში. 1999-2001 წლებში ვსწავლობდი დედოფლისწყაროს ნიკო ფიროსმანის სახ.სამხატვრო სკოლაში პედაგოგ აკაკი მერაბიშვილთან. 2002 წელს საქართველოს სახალხო ფესტივალზე იყო წარდგენილი ჩემი ნატურმორტი. აღნიშნული ფესტივალიდან გადმომეცა დიპლომი. 2008-2009 წლებში ვსწავლობდი თოიძის სახელობის სკოლაში“.

გიორგი ხაჩიაშვილი: „დავიბადე 1987 წლის 19 მაისს და დავამთავრე ხორნაბუჯის საჯარო სკოლის არასრული კურსი. ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, სულ ვამყარებ საზოგადოებასთან აქტიურ კონტაქტს. ყოველთვის ვცდილობ, ჩემთვის საინტერესო საქმიანობით დავაკავდე. 2025 წლიდან ჩავერთე „პერსონალური ასისტენტი მომსახურებით“ უზრუნველყოფის პროგრამაში ექიმ ია ფიროსმანაშვილის აქტიური მხარდაჭერით. გამიმართლა, რომ მყავს ძალიან კარგი ასისტენტი ინვა ქოქუაშვილი, რომელიც მასწავლის თემაზე მუშაობას. ერთი თვეა რაც ამ საქმემ დამაინტერესა. არც მიფიქრია ასეთი ცოტა ნამუშევრებით წარმედგინა თავი საზოგადოების წინაშე, მაგრამ ჩემი მეგობრის გოგა ჯავახიშვილის თხოვნით მივიღე მონაწილეობა ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაში. მინდა მადლობა გადავუხადო როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მასპინძლობისთვის, ასევე თითოეულ დამთავრებულს, რომელთაც მომცეს სტიმული, რომ გავაგრძელო ჩემი საქმიანობა“.



გიორგი ხაჩიაშვილი

ლიცეუმში. 2013-2016წ ში ვსწავლობდი თსუ-ში ისტორიულ ფაკულტეტზე. რაც შეეხება მხატვრობას, ბავშვობიდან დავინყე, 2020 წელს ხატვა განვაახლე, რადგან რალაც პერიოდი აღარ ვხატავდი. ამჟამად კვლავ ხატვით ვარ დაკავებული და მომავალშიც კვლავ ამ სფეროში ვიმოღვანეებ“.

გაზეთი „შინაპი“ წარმატებას უსურვებს ახალგაზრდა, ნიჭიერ შემოქმედ თაობას, თავიანთი სურვილებისა და ოცნებების ახლანაში.

ჯელზა ხარაშვილი

ინდენარებითა საყურადღებოდ!

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ინდენარმეებს 2025 წლის 1 აპრილამდე ევალუბათ 2024 წლის წლიური დეკლარაციების წარდგენა. ეს სავალდებულოა როგორც მიკრობიზნესის და ჩვეულებრივი დაბეგვრის სტატუსის მქონე მენარმეებისთვის, ისე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების, რომელთაც მენარმეობა დაწყებული ან დამთავრებული აქვთ წლის შიგნით.

დეკლარაციების წარდგენისთვის, ან კონსულტაციისთვის მიმართეთ შპს „ლაშარი“-ს.

ტელ: 593 28 11 46 ნინო, 591 22 44 95 გენადი.

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბუფეტაჟზე. მეტლოკრა-მიტის გადახურვით, მეტლოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ქერზე „გიფსოკარდონე-ბით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით ტელ: 595 32 47 61

ამინდი

ორშაბათი 17.03 დღე 26°	სამშაბათი 18.03 ღამე 11°	ოთხშაბათი 19.03 დღე 21°	სუთშაბათი 20.03 ღამე 3°	პარასკევი 21.03 დღე 14°	შაბათი 22.03 ღამე 4°	კვირა 23.03 დღე 14°	ღამე 4°
------------------------------	--------------------------------	-------------------------------	-------------------------------	-------------------------------	----------------------------	---------------------------	------------

გამომცემელი შპს „შინაპი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარჯაოშვილი**
 მოვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა);
 ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი);
 ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქინძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შინაპი“ კომპიუტერულ ბაზაზე.
 ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამოცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
 ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
 ☎ 0 356 22 22-85;
 598 72-18-72 (დირექტორი)
 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში - 20 ლარი